დანართი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს აკადემიური კონკურსის ჩატარებისა და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

დამტკიცებულია
რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის №455 ბრძანებით
შეტანილია ცვლილება
1. რექტორის 2021 წლის 1 თებერვლის №038 ბრძანებით
2. რექტორის 2022 წლის 28 სექტემბრის N822 ბრძანებით

2021
თბილისი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი, საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“, შრომის კანონმდებლობისა და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს (შემდგომში - სეუ) სამართლებრივი აქტების შესაბამისად, განსაზღვრავს სეუ-ში აკადემიური თანამდებობის სახეებს, აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის წესსა და პროცედურებს.

მუხლი 2. აკადემიური პერსონალი

სეუ-ს აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორების, ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორებისა და ასისტენტებისგან.

მუხლი 3. აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის ვადა

1. პროფესორი და ასოცირებული პროფესორი აკადემიურ თანამდებობაზე ინიშნება 4 წლის ვადით.
2. ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის მიერ აკადემიური თანამდებობის დაკავების ვადა განისაზღვრება 3 წლით.

მუხლი 4. აკადემიური პერსონალის სამუშაოს შინაარსი

1. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესში ან/და წარმართავენ მას.
2. პროფესორი არის პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის/ პროგრამის კომპონენტების ან პროგრამის კომპონენტის შემადგენელი სავალდებულო სასწავლო კურსის/მოდულის სწავლებისა და განვითარების ხედვა, შესაბამის სფეროში სარგებლობს აკადემიური, პროფესიული ან/და სამეცნიერო ავტორიტეტით.
3. პროფესორი ზრუნავს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამის კომპონენტების და მისი შემადგენელი სასწავლო კურსის/მოდულის ან სხვა კომპონენტის განვითარებაზე, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზებაზე, ასევე, პროფესორს პრიორიტეტი ენიჭება სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების ხელმძღვანელობის თვალსაზრისით.
4. ასოცირებული პროფესორები და ასისტენტ-პროფესორები, უნივერსიტეტის მიზნებიდან და სახიდან გამომდინარე, ჩართულები არიან სასწავლო კურსების განხორციელებასა და სამეცნიერო კვლევაში, თავიანთი მიმართულების შესაბამისად.
5. ასისტენტი პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს.

მუხლი 5. აკადემიური პერსონალის დატვირთვა

აკადემიური პერსონალის დატვირთვა განისაზღვრება სეუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოსა და შესაბამისი აქტივობების მიხედვით დასაგროვებელი ქულების ოდენობების“ შესაბამისად.

მუხლი 6. აკადემიური თანამდებობის დაკავების პირობები

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. აკადემიური კონკურსის თარიღი და პირობები მტკიცდება სეუ-ს რექტორის ბრძანებით.
3. კონკურსის პირობები ქვეყნდება საჯაროდ, სეუ-ს საინფორმაციო სივრცესა და ვაკანსიების საინფორმაციო სივრცის (ბეჭდური ან ინტერნეტ მედია) საშუალებით, საბუთების მიღების დაწყებამდე სულ ცოტა ერთი თვით ადრე.

მუხლი 7. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები

1. შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევად, კონკურსანტმა უნდა დააკმაყოფილოს საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე წესით განსაზღვრული აკადემიური ან პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები.
2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისი კონკურსანტების რაოდენობა აღემატება საკონკურსო ვაკანსიების რაოდენობას, აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის უფლებას მოიპოვებენ საკონკურსო ვაკანსიების რაოდენობის შესაბამისი კონკურსანტები, რომლებიც ძირითად და დამატებით საკონკურსო კრიტერიუმებთან შესაბამისობის მაჩვენებელთა ერთობლიობით უპირატესი შედეგი აჩვენეს სხვა კონკურსანტებთან მიმართებით.
3. ამ წესით განსაზღვრული პროფესიული ნიშნით აკადემიურ თანამდებობაზე შერჩევის კრიტერიუმები შესაძლოა შეიცვალოს კონკრეტული კონკურსის გამოცხადების ეტაპზე, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროების გათვალისწინებით, რექტორის სამართლებრივი აქტის შესაბამისად. *(ბრძანება №822 28.09.2022).*

მუხლი 8. აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები

1. **აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**
   ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
   ბ) არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
   გ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორობა/თანაავტორობა;
   დ) აკადემიური საქმიანობის ხედვა;
   ე) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სილაბუს(ებ)ის წარმოდგენა.
2. **აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**
   ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
   ბ) არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
   გ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 5 წლის

განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;

დ) აკადემიური საქმიანობის ხედვა;

ე) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სილაბუს(ებ)ის წარმოდგენა.

3. **აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

   ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

   ბ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;

   გ) აკადემიური საქმიანობის ხედვა;

   დ) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სილაბუს(ებ)ის წარმოდგენა.

4. **აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები ასისტენტის აკადემიური თანამდებობაის დასაკავებლად:**

   ა) მოქმედი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის აქტიური სტატუსი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის აქტიური სტატუსი, შესაბამისი აღიარების დოკუმენტის წარმოდგენის პირობით.

მუხლი 9. პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები

1. **პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

   ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

   ბ) არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილება შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში, წამყვან თანამდებობებზე პრაქტიკულ მოღვაწეობასთან (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);

   გ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;

   დ) აკადემიური საქმიანობის ხედვა;

   ე) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სილაბუს(ებ)ის წარმოდგენა.

2. **პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

   ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

   ბ) არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში, წამყვან თანამდებობებზე პრაქტიკულ მოღვაწეობასთან (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);

   გ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;

დ) აკადემიური საქმიანობის ხედვა;

ე) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სილაბუს(ებ)ის წარმოდგენა.

3. **პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში, წამყვან თანამდებობებზე პრაქტიკულ მოღვაწეობასთან (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე).

მუხლი 10. უცხოენოვან პროგრამებზე აკადემიური პერსონალის საკონკურსო კრიტერიუმები

1. უცხოენოვანი პროგრამის ან პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის განსახორციელებლად გამოცხადებული კონკურსისთვის, დამატებით კრიტერიუმად წესდება კონკურსანტის მიერ ენობრივი კომპეტენციის დადასტურება პროგრამის/ პროგრამის უცხოენოვანი კომპონენტის შესაბამის ენაში, თუკი აღნიშნული ენა კონკურსანტის მშობლიურ ენას არ წარმოადგენს.
2. უცხო ენის კომპეტენცია კონკურსანტს დადასტურებულად ჩაითვლება ერთ-ერთ ქვემოთ მითითებულ შემთხვევაში:

   ა) შესაბამის ენაზე მიღებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში;

   ბ) შესაბამის ენაზე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში;

   გ) ენობრივი კომპეტენციის ფლობის საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც ადასტურებს კონკურსანტის მიერ შესაბამისი ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობას, ენობრივ კომპეტენციათა ევროპული ჩარჩოთი (CEFR) დადგენილი კომპეტენციათა აღმწერის შესაბამისად.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, B2 დონის ენობრივი კომპეტენციის ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატად მიიჩნევა ერთ-ერთი შემდეგი:
   - Cambridge English First (FCE)
   - BEC Vantage
   - IELTS 5-6.5
   - TOEFL iBT 87-109
   - Michigan ECCE
   - PTE General Level 3
   - PTE Academic 59-75
   - Trinity ISE II
4. აკადემიური კონკურსის მონაწილე, რომელიც ვერ დაადასტურებს ენობრივ კომპეტენციას ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუქტებით დადგენილი წესით ვალდებულია კომისიის წინაშე ჩატაროს საჩვენებელი ლექცია უცხო ენაზე ან ჩააბაროს ენობრივი კომპეტენციის ტესტირება უნივერსიტეტის მიერ მომზადებული საგამოცდო ტესტის მეშვეობით. ტესტის საკითხები

და კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება უნივერსიტეტის მიერ.

მუხლი 11. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური პერსონალის საკონკურსო კრიტერიუმები

1. **აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**
   ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
   ბ) არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
   გ) შესაბამისი სასწავლო კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორობა/თანაავტორობა;
   დ) აკადემიური საქმიანობის ხედვა;
   ე) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსისკურსების სილაბუს(ებ)ის წარმოდგენა;
   ვ) დამატებით კლინიკურ მიმართულებაზე:
   ვ.ა) ბოლო 9 წელი კლინიკური გამოცდილება;
   ვ.ბ) საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სახელმწიფო სერთიფიკატი.
2. **აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**
   ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
   ბ) არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
   გ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;
   დ) აკადემიური საქმიანობის ხედვა;
   ე) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სილაბუს(ებ)ის წარმოდგენა;
   ვ) დამატებით კლინიკურ მიმართულებაზე:
   ვ.ა) ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება;
   ვ.ბ) საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სახელმწიფო სერთიფიკატი.
3. **აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**
   ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
   ბ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;
   გ) აკადემიური საქმიანობის ხედვა;
   დ) საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების სილაბუს(ებ)ის წარმოდგენა;

ე) დამატებით კლინიკურ მიმართულებაზე:

ე.ა) ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება;

ე.ბ) საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სახელმწიფო სერთიფიკატი.

4. **აკადემიური ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

ა) მოქმედი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის აქტიური სტატუსი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის აქტიური სტატუსი შესაბამისი აღიარების დოკუმენტის წარმოდგენის პირობით;

ბ) დამატებით კლინიკურ მიმართულებაზე:

ბ.ა) მოქმედი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის აქტიური სტატუსი კლინიკურ სპეციალობაში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის აქტიური სტატუსი კლინიკურ სპეციალობაში შესაბამისი აღიარების დოკუმენტის წარმოდგენის პირობით;

ბ.ბ) საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სახელმწიფო სერთიფიკატი.

5. **პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილება შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში პრაქტიკულ მოღვაწეობასთან;

გ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები;

დ) აკადემიური საქმიანობის ხედვა;

ვ) დამატებით კლინიკურ მიმართულებაზე:

ვ.ა) არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ვ.ბ) ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება;

ვ.გ) საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სახელმწიფო სერთიფიკატი.

6. **პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:**

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში პრაქტიკულ მოღვაწეობასთან (პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი შესაძლებელია დაკონკრეტდეს პროგრამის თავისებურებიდან გამომდინარე);

გ) შესაბამისი სასწავლო კურსის/კურსების თემატიკის მიმართულებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია/პუბლიკაციები.

დ) აკადემიური საქმიანობის ხედვა;

ე) დამატებით კლინიკურ მიმართულებაზე:

ე.ა) ბოლო 5 წელი კლინიკური გამოცდილება;

ე.ბ) საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სახელმწიფო სერთიფიკატი.

7. **პროფესიული ნიშნით კვალიფიკაციის დამადასტურებელი კრიტერიუმები ასისტენტის**

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება შესაბამის დარგში, რაც დაკავშირებულია სფეროში პრაქტიკულ მოღვაწეობასთან;

გ) დამატებით კლინიკურ მიმართულებაზე:

გ.ა) მოქმედი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის აქტიური სტატუსი კლინიკურ სპეციალობაში;

გ.ბ) საექიმო საქმიანობის შესაბამისი/მომიჯნავე სპეციალობის სახელმწიფო სერთიფიკატი.

მუხლი 12. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის დამატებითი კრიტერიუმები

1. სეუ უფლებამოსილია კონკურსანტებისთვის დააწესოს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის დამატებითი კრიტერიუმები:

   ა) შესაბამის დარგში პრაქტიკული გამოცდილება;

   ბ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები;

   გ) პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა;

   დ) უცხო ენების ცოდნა.
2. დამატებითი კრიტერიუმები მხედველობაში მიიღება იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საკონკურსო კრიტერიუმებით გასული კონკურსანტების რაოდენობა აღემატება საკონკურსო ვაკანსიების რაოდენობას, შესაბამისი აკადემიური თანამდებობისთვის.

მუხლი 13. საკონკურსოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტებია:

   ა) განცხადება, შესაბამისი აკადემიური თანამდებობისა და მიმართულების მითითებით;

   ბ) კონკურსანტის ანკეტა;

   გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

   დ) საკონკურსო ვაკანსიისთვის დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისი დოკუმენტაცია - კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტები, ინფორმაცია პროფესიული გამოცდილების, გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ და ა.შ;

   ე) დამატებით კრიტერიუმებთან კონკურსანტის შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

   ვ) აკადემიური საქმიანობის ხედვა;

   ზ) სილაბუს(ებ)ი.

მუხლი 14. საკონკურსო კომისია

1. აკადემიური კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფისა და საკონკურსო კრიტერიუმების შესაბამისად კანდიდატთა შერჩევის მიზნით, სეუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, სულ მცირე სამი წევრით (მათ შორის: ერთი კომისიის თავმჯდომარე, ერთი მდივანი და ერთი მოწვეული დარგის სპეციალისტი).
2. საკონკურსო კომისიაში შედიან პროგრამის შესაბამისი დარგისა და სეუ-ს ადმინისტრაციის

წარმომადგენლები.

3. **საკონკურსო კომისიის ფუნქციები:**

ა) ადგენს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კანონმდებლობისა და ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობას;

ბ) კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და მათი პროფესიული კვალიფიკაციის გათვალისწინებით ახდენს კონკურსში გამარჯვებულთა გამოვლენას.

მუხლი 15. კონკურსის ეტაპები:

აკადემიური კონკურსი ტარდება სეუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა;

ბ) კონკურსანტების ენობრივი კომპეტენციის დადგენა ტესტირების გზით (უცხოენოვანი პროგრამისათვის), საჭიროების შემთხვევაში;

გ) საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება.

მუხლი 16. საკონკურსო კომისიის მიერ საბუთების გადარჩევა

1. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა ხდება კონკურსანტის დაუსწრებლად, კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, კონკურსანტი შეიძლება მოწვეულ იქნეს ინტერვიუზე.
2. **საბუთების გადარჩევის დროს მოწმდება:**

ა) შეტანილია თუ არა განაცხადი საკონკურსო ვადის დაცვით;

ბ) წარმოდგენილი არის თუ არა შესაბამისი აკადემიური თანამდებობისთვის აკადემიური ან პროფესიული ნიშნით კონკურსანტის კვალიფიკაციის შესაბამისობის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი.

3. საბუთების გადარჩევის შედეგად, საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის მეორე ეტაპზე გასული კონკურსანტების შესახებ.
4. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსანტის მიერ კონკურსის პირველი ეტაპის გადალახვისა და შემდგომ ეტაპზე დაშვების შესახებ, თუ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.
5. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსანტის მიერ კონკურსის პირველი ეტაპის ვერ გადალახვის შესახებ, თუკი საკონკურსო განაცხადი შეტანილია საკონკურსო ვადის დარღვევით, ან წარმოდგენილი საბუთებით ვერ დასტურდება კონკურსანტის კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის მოთხოვნებთან.

მუხლი 17. გასაუბრება

1. გასაუბრების დროს საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსის, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის, შესაბამის დარგში არსებული გამოწვევების ხედვას, ასევე კომუნიკაციის, თვითპრეზენტაციის, პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კომუნიკაციის უნარებს.
2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, გასაუბრებამ შესაძლებელია მოიცვას

საჩვენებელი ლექციის ჩატარება, რის შესახებაც ეცნობება კონკურსანტს.

მუხლი 18. საკონკურსო კომისიის ოქმი

1. აკადემიური კონკურსის თითოეული ეტაპისთვის გაწეული სამუშაოს აღწერას და შეჯამებას საკონკურსო კომისია ახდენს საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში.
2. **საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში მიეთითება:**
   ა) უნივერსიტეტის დასახელება;
   ბ) საკონკურსო კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი და ადგილი;
   გ) საკონკურსო კომისიის შემადგენლობა;
   დ) საკონკურსო კომისიის დღის წესრიგი;
   ე) კონკურსის მოცემულ ეტაპში მონაწილე კონკურსანტები;
   ვ) კომისიის მიერ თითოეული კონკურსანტის მიმართ გამოთქმული მოსაზრება, შეფასება შესაბამისი არგუმენტაციით;
   ზ) საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება თითოეული კონკურსანტის მიმართ.
3. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 19. აკადემიური კონკურსის შედეგები

1. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის შედეგების შესახებ ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ქვეყნდება სეუ-ს ვებგვერდზე და ეცნობება კონკურსის მონაწილეებს.

მუხლი 20. აპელაცია

1. აკადემიური კონკურსის მონაწილე, უფლებამოსილია შემოიტანოს აპელაცია საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებაზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად წარდგენის შესახებ.
2. აპელაცია უნდა იყოს დასაბუთებული და ეფუძნებოდეს ერთ-ერთ შემდეგ გარემოებას:
   ა) კომისიის წევრის/წევრების მიკერძოებულობას/ინტერესთა კონფლიქტის არსებობას;
   ბ) კომისიის წევრთა მიერ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ წესისა და საკონკურსო პირობების მნიშვნელოვან დარღვევას. მნიშვნელოვანია დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება.
3. აპელაცია წარედგინება სააპელაციო კომისიას, წინასწარ დადგენილ ვადებში.

მუხლი 21. აპელაციის განხილვის წესი

1. დაუსაბუთებელი აპელაცია უბრუნდება განმცხადებელს.
2. დასაბუთებული აპელაციის შემთხვევაში საჩივარს განიხილავს სააპელაციო კომისია.
3. აპელაციის შედეგები ეცნობება განმცხადებელს.

მუხლი 22. კონკურსის შედეგები

1. კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება და (არსებობის შემთხვევაში) აპელაციის შედეგები წარედგინება რექტორს, რომელიც, კომისიის წარდგინების შესაბამისად, გამოსცემს ბრძანებას აკადემიურ თანამდებობაზე კანდიდატების დანიშვნის თაობაზე და მათთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს.
2. რექტორის გადაწყვეტილება აკადემიურ თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის დანიშვნაზე უარის შესახებ, შესაძლებელია მიღებულ იქნეს მხოლოდ:
   ა) კანდიდატის მიერ შრომითი ურთიერთობის წარმოშობაზე უარის შემთხვევაში;
   ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რაც გამორიცხავს კანდიდატის მიერ აკადემიური თანამდებობის დაკავებას.
3. კონკურსის შედეგები, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებასთან ერთად, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.